პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 აპრილი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 70 (9989) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობა

**რესპუბლიკის** მოსახლეობას დიდი მწუხარებით უნდა ვაცნობოთ იმ ტრაგედიის ამბავი, რომელიც 9 აპრილს, გამთენიისას, თბილისში, მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე მოხდა.

ანტისახელმწიფოებრივი მანიფესტაციის აღკვეთის მიზნით კანონით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელებას, სამწუხაროდ, ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. დაიღუპა 16 მოქალაქე. არიან დაშავებულნიც. მათ შორის ბევრია სამართალდამცავი ნაწილების მოსამსახურენიც. ყველა დაზარალებული საავადმყოფოებში არის მოთავსებული და იმყოფება მედიკოსთა გაძლიერებული ყურადღების ქვეშ.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მომხდარი უბედურების გამო და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.**

ამ ტრაგედიასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გასარკვევად შექმნილია მთავრობის კომისია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. ა. ჩხეიძის ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ეს საშინელი ტრაგიკული მოვლენა ყოველმხრივ, ობიექტურად და პრინციპულად გაანალიზდება და მისი მასალები გამოქვეყნდება.

დღეისათვის ცხადია ერთი რამ: პასუხისმგებლობა ამ უბედურებისათვის უპირველესად და უმთავრესად ეკისრებათ უკიდურესი მიმართულების არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, რომლებმაც თავიანთი მიუღებელი, აღვირახსნილი, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით უაღრესად დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო, შექმნეს აშკარა პოლიტიკური ისტერიის ვითარება, აიყოლიეს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა, გამოიყენეს მოზარდი თაობის გულწრფელობა, ემოციები, ისარგებლეს მისი ცხოვრებისეული გამოუცდელობით და კატასტროფამდე მიიყვანეს ჩვენი საზოგადოება, მთელი ხალხი, რესპუბლიკა.

თავიდან არ იცილებენ რა საერთო პასუხისმგებლობას, რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, მთავრობას დაბეჯითებით მიაჩნიათ, რომ ეს პასუხისმგებლობა მათთან ერთად მთლიანად უნდა გაიზიაროს ჩვენი საზოგადოებრიობის დიდმა ნაწილმა — უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლობამ და რექტორატებმა, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფტექნიკური სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა და ხელმძღვანელებმა, სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, იმათ, ვინც თანამდებობრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობით ვალდებული იყო და არის წარმართა ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობა და ვისაც არაერთგზის ვთხოვეთ და მოვუწოდეთ საჭირო ღონისძიებების გატარება, ვინც დროულად და სწორად არ გამოკვეთა თავისი პრინციპული პოზიცია, ვინც მთელი სერიოზულობით არ შეაფასა რეალური სინამდვილე და ის საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა მოყოლოდა ყოვლად მიუღებელ ლოზუნგებს.

კატასტროფამდე მიგვიყვანა საზოგადოების ერთი ნაწილის გულგრილობამ, ზოგიერთების წამქეზებლობამ, რომლის მამოძრავებელი ძალა უმეტესად იყო უზნეობა, კორუფცია, კარიერიზმი, პირადი ამბიციები, პირადი განაწყენებულობა.

დღემდე, ხუთი დღის განმავლობაში თბილისში, მთავრობის სახლის წინ იმართებოდა არასანქციონირებული მიტინგები და დემონსტრაციები, რის გამოც პრაქტიკულად მოშლილი იყო დედაქალაქის, მთელი რესპუბლიკის ცხოვრება. ბოლო დროს მიტინგების, მანიფესტაციის ორგანიზატორები სულ უფრო ხშირად და დაუფარავად მოუწოდებდნენ უწესრიგობისა და გაფიცვებისაკენ, რომელთაც საფრთხე შეუქმნეს საზოგადოებრივ უშიშროებას; მოურიდებლად გაისმოდა მთავრობის გადაყენების, აშკარა ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური და ანტიკომუნისტური, ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების შეურაცხმყოფელი

იხ. მე-2 გვ.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**10 აპრილს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღიარა, რომ თბილისში, რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მორალურ-პოლიტიკური ვითარება უაღრესად დაძაბულია, რომელიც მოითხოვს მისი სტაბილიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებას, და აღნიშნა, რომ ამავე დროს შექმნილ სიტუაციას ძირითადად კონტროლს უწევენ პარტიული, საბჭოთა, სამართალდამცავი ორგანოები.

10 აპრილს დილიდანვე მრავალი სამრეწველო საწარმოსა და ორგანიზაციის კოლექტივები ნორმალური რიტმით შრომობენ.

ამავე დროს აღინიშნა საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის სერიოზული შეფერხება, რის გამოც დაგვიანდა სამუშაო ცვლების მუშაობის დაწყება ცალკეულ საწარმოებში. გააქტიურდნენ მოპიკეტეთა ჯგუფები, რომლებიც ხელს უშლიან მთელი რიგი საქალაქო სამსახურების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, თბილისისა და სხვა რეგიონების საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, პარტიულ აქტივს საკადრისი პასუხი გასცენ მოპიკეტეთა მართლსაწინააღმდეგო მოთხოვნებს, მთელი მეცადინეობა მოახმარონ რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციას.

სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი.

(საქინფორმი)

## სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

8 აპრილს ღამით ქალაქ თბილისში მთავრობის სახლის მოედანზე ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 კაცი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

| | | |
|---|---|---|
| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ თბილისში მთავრობის სახლთან მდებარე მოედანზე არეულობის დროს დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს, ნათესავებსა და ახლობლებს და 11 აპრილს გლოვის დღედ აცხადებენ.

9 აპრილის ტრაგიკულმა ამბებმა მთელ რესპუბლიკას თავზარი დასცა, საქართველოს კომუნისტები, მშრომელები დიდი გულისტკივილით განიცდიან ყოველივე იმას, რაც მოხდა. ჩვენი მწუხარება უსაზღვროა, დარდი — უნუგეშოა.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ ჩვენი ხალხის სიბრძნე, მისი მაღალი სული და ზნეობა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა დაგვეხმარება გადავიტანოთ ჩვენი რესპუბლიკისათვის ეს მძიმე დღეები.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

# მიმართვა ქალაქ თბილისის მოსახლეობასა და მშრომელებს

ამხანაგებო! მე, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი, დანიშნული ვარ ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტად.

პატივცემულო ამხანაგებო, ქალაქ თბილისის მშრომელებო და მცხოვრებნო!

უკანასკნელ დღეებში უკიდურესი ფრთის არაფორმალურ დაჯგუფებათა ლიდერებმა შეძლეს ვითარების გამწვავება თბილისში, სადაც ზედიზედ, რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ანტისაბჭოთა ხასიათის არასანქციონირებული მიტინგები. პრაქტიკულად დაირღვა დედაქალაქის ცხოვრების ნორმალური რიტმი, მოიშალა უმაღლესი სასწავლებლებისა და მრავალი სკოლის მუშაობა. ქალაქის სხვადასხვა რაიონში საწარმოებთან და ორგანიზაციებთან მოქალაქეთა აღგზნებული ჯგუფები ცდილობდნენ ჩაეშალათ მათი მუშაობა და მოუწოდებდნენ შრომითს კოლექტივებს გაფიცვებისათვის.

ვრცელდება ყოველგვარი დეზინფორმაცია, მიტინგების მონაწილეებს აქეზებდნენ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისა და უწესრიგობისათვის. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა ის, რომ ცალკეული მასწავლებლები მსვლელობებსა და მიტინგებში აბამდნენ მოსწავლე ახალგაზრდობას, რაც უდიდეს ზიანს აყენებს მათ სწავლას, ზნეობრივ აღზრდას. ცნობილია, რომ ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში ამას გადაჭრით გმობენ და აღკვეთავენ.

რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პარტიული აქტივის კრებაზე, სადაც დაისახა და დაიწყო ვითარების სტაბილიზაციის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება, მიღებულ იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელისა და ახალგაზრდობისადმი.

მაგრამ პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების ღონისძიებების, თავშეკავებისა და კეთილგონიერების მოწოდებების მიუხედავად, სიტუაცია არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ გახდა უაღრესად საშიში, რასაც შეიძლება მოჰყვეს ძნელადგასათვალისწინებელი შედეგები.

გახშირდა ხელისუფლების ორგანოებისადმი აშკარა წინააღმდეგობის შემთხვევები იმ სამხედრო მოსამსახურეთა ღირსების დამცირების ფაქტები, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფენ. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ არსებითად კანონთან და ხელისუფლების ორგანოებთან კონფრონტაციის ხასიათი შეიძინა. პოლიტიკური სიმწიფის უკმარისობამ, ამბიციურობამ და დემაგოგიამ უწესრიგობათა ორგანიზატორებს საშუალება მისცეს პროვოკაციულად გამოეწვიათ დრამატული სიტუაცია 8 აპრილის ღამით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობასთან, რის შედეგადაც არის ადამიანთა მსხვერპლი.

ჩვენ ვუცხადებთ ღრმა სამძიმარსა და თანაგრძნობას დაღუპულთა ყველა ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს. ბრალი ამისათვის მთლიანად ეკისრებათ ექსტრემისტ პროვოკატორებს.

შექმნილი ვითარება შეუწყნარებელია. ჩვენ ვერ დავუშვებთ ანარქიასა და უკანონობას.

ამ პირობებში დარჩა ერთადერთი შანსი — გადაჭრით აღვუდგეთ წინ პროვოკატორებს, რომლებიც მართლწესრიგის დარღვევაში ითრევენ მოსახლეობას, არ უნდა დავუშვათ, რომ სოციალისტურ ღირებულებებს ზიანი მიაყენონ უპასუხისმგებლო ელემენტებმა.

ტრანსპორტის, საწარმოებისა და დაწესებულებების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის, ქალაქსა და მიმდებარე რაიონებში ჯეროვანი წესრიგის დაცვის მიზნით, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ თბილისში 9 აპრილს 23 საათიდან წესდება კომენდანტის საათი. ამ მიზნით ძალაში შედის მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებანი, რომლებიც არეგლამენტებენ ქალაქის მოქალაქეთა ცხოვრებასა და საქმიანობას, სასწავლებლების, საწარმოებისა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების მუშაობას:

1. შეზღუდულია ქალაქში იმ პირთა შემოსვლა, ვინც არ არის ჩაწერილი ქალაქში, იმათ გარდა, ვინც აქ სპეციალურად არ არის მოვლინებული და აქვთ საშვი და, აგრეთვე, ვინც ჩამოვა შორეული მიმოსვლის მატარებლებით და აეროფლოტის ხომალდებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები შექმნიან ქალაქში შემოსვლის საკონტროლო გასაშვებ პუნქტებს.

2. 23 საათიდან დილის 6 საათამდე მთელ ქალაქში წყდება თავისუფალი ფეხით სიარული, იმ პირთა გარდა, ვისაც სპეციალური საშვი აქვთ.

3. 10 აპრილიდან საბჭოთა, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მუშაობა იწყება დილის 7 საათიდან და მთავრდება სულ გვიან 22 საათზე.

4. საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის წესი შემდეგია:

მეტროპოლიტენის და ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკისა — დილის 6 საათიდან 22 საათამდე.

ავტოტრანსპორტის — დილის 6 საათიდან 23 საათამდე. გარდა იმ ავტომანქანებისა, რომლებსაც სპეციალური საშვი აქვთ.

5. ყველა მოქალაქე, ვინც ქალაქის ბაზრებში სავაჭროდ ჩამოდის, ვალდებულია თან იქონიოს პასპორტი ან პირადობის მოწმობა და დატოვოს ქალაქი 23 საათამდე.

6. აკრძალულია არასანქციონირებული კრებები, მსვლელობა, დემონსტრაციები და მიტინგები.

7. აკრძალულია ბინებსა და სხვა ადგილებში ცეცხლსასროლი იარაღის, აფეთქებასაშიში ვაზნებისა და ცეცხლგამჩენი ნარევების შენახვა.

8. ქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების შეუფერხებელი მუშაობისათვის ყველა მშრომელს ევალება უთუოდ გამოვიდეს სამუშაოზე და მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი.

პასუხისმგებლობა და კონტროლი შრომის დისციპლინის დაცვისათვის დაეკისროთ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

9. ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებთან ერთად უნდა მოაწყონ საპასპორტო რეჟიმის შემოწმება, ხოლო კომენდანტის საათის მოქმედების პერიოდში დამატებით განახორციელონ რეიდები შენობათა სარდაფებისა და სხვენების, საგარაჟო რაიონების შესამოწმებლად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დააკავონ და გაჩხრიკონ საეჭვო პირები.

10. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, ორგანიზაციები და საწარმოები ვალდებული არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი სამხედრო სარდლობას საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფაში.

11. ხელისუფლების სამხედრო და ადგილობრივი ორგანოების განკარგულებებისა და ბრძანებებისადმი დაუმორჩილებლობისათვის იმ პირთა სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფისათვის, რომლებიც ახორციელებენ კომენდანტის საათს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა მოქალაქეს, ვინც ის დაუშვა.

12. ამ ღონისძიებათა შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროთ ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებსა და სამხედრო კომენდანტს.

ქალაქ თბილისის მშრომელებს, კომუნისტებს, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას მოვუწოდებ ამ ძნელ დღეებში შეინარჩუნონ სიმშვიდე, გამოავლინონ თავშეკავება, არ აჰყვნენ პროვოკაციებს, მკაცრად შეასრულონ კომენდანტის საათის მოთხოვნები, ყველაფერი ილონონ წესრიგისა და ორგანიზებულობის აღდგენისათვის.

მჯერა, რომ საქართველოს შრომისმოყვარე ხალხი, რომელსაც უმდიდრესი ისტორია აქვს და თავდადებული შრომით გამოირჩევა, სწორად გაიგებს ამ საგანგებო ღონისძიებებს.

(საქინფორმი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობა

(დასასრული)

ლოზუნგები. მიტინგზე იყო მცდელობა შეექმნათ ე. წ. „ეროვნული კომიტეტი“ დროებითი მთავრობის ფუნქციებით.

მიტინგებისა და მანიფესტაციების მომწყობნი, არაფორმალურ გაერთიანებათა ექსტრემისტი ლიდერები პირდაპირ მოუწოდებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლების, სამართალდამცავი ორგანოებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, სისხლის ღვრისაკენ, არსებული წყობილების დამხობისაკენ.

ექსტრემისტთა ხელში ჩაგდების რეალური საფრთხე შეექმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის საარსებო მნიშვნელობის ობიექტებს — რუსთავის მეტალურგიულ და თბილისის ჩარხმშენებელ ქარხნებს, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ და მრავალ სხვა სამრეწველო ობიექტს, სისტემატური შანტაჟის ქვეშ აღმოჩნდნენ საავიაციო ქარხნის და სხვა საწარმოთა შრომითი კოლექტივები, მოიშალა საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა. რამდენიმე დღის განმავლობაში ექსტრემისტთა აშკარა შეტევის ობიექტად გადაიქცა საქართველოს ტელევიზია, პრაქტიკულად სწავლა შეწყდა უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საკმაო ნაწილში.

თბილისის მანიფესტაციის მონაწილეებისაგან და რადიკალურ არაფორმალურ გაერთიანებათა წევრებისაგან შემდგარი „დამკვრელი ჯგუფები“ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში სათავეში ჩაუდგნენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს. ასე მოხდა ქუთაისში, თელავში, სოხუმში, ლესელიძეში და სხვ.

მდგომარეობის დრამატიზმს აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ ათობით ახალგაზრდამ ექსტრემისტთა წაქეზებით შიმშილობა გამოაცხადა მთავრობის სახლის წინ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ დაძაბულ დღეებში იღებდა ყველა შესაძლო პოლიტიკურ ზომას, რათა არ დაეშვა მოვლენათა კიდევ უფრო დამძიმება. მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ მან არაერთხელ დაბეჯითებით გააფრთხილა მთელი ხალხი, მუშათა კლასი, განსაკუთრებით ინტელიგენცია და ახალგაზრდობა როგორც უშუალო შეხვედრების დროს, ისევე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით. მოეწყო არაფორმალურ გაერთიანებათა ზოგიერთ ლიდერთან ხელმძღვანელობის პირადი შეხვედრა.

7 აპრილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე ინტელიგენციის ერთი ნაწილის თხოვნით რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დათანხმდა საქმიან პრინციპულ დიალოგს მანიფესტაციის ორგანიზატორებთან. ამ შეხვედრის ორგანიზაციისათვის გამოყოფილ საინიციატივო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები — რ. ჩხეიძე, ნ. ჭავჭავაძე, ჯ. ჩარკვიანი, ვ. გოგუაძე, მ. კოკოჩაშვილი, ლ. ჯავახიშვილი უარი უთხრეს დიალოგის მოწყობაზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მანიფესტაციის მონაწილეებთან უშუალო ურთიერთობისათვის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოსვლებისათვის გამოიყვნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, მუშათა კლასის წარმომადგენლები. ახალგაზრდებთან უშუალოდ მივიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრები, მთავრობის ხელმძღვანელები.

ტელევიზიით და რადიოთი მანიფესტაციის მონაწილეებს და რესპუბლიკის მოსახლეობას მიმართეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა. გულწრფელად, პირდაპირ ვთხოვეთ გამოეჩინათ სიმშვიდე, ზომიერება, არ შეექმნათ ქაოსი და ანარქია, რომელთაც გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა.

8 აპრილს შედგა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელზეც მიღებული იქნა მიმართვა მშრომელების, ახალგაზრდობისადმი, იგი ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცა, უშუალოდ უსმენდნენ ამ მიმართვას მანიფესტაციის მონაწილეები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს უკიდურესი შეშფოთება მოვლენათა განვითარების გამო, მოუწოდეს მოეხმოთ გონიერებისათვის, უარი ეთქვათ ასეთ დაძაბულ ვითარებაში მიტინგებისა და მანიფესტაციების მოწყობაზე, ტრაგედიის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე აქციის მონაწილეებს იგივე თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, მაგრამ ამაოდ.

მანიფესტაციის ორგანიზატორებმა კატეგორიულად განაცხადეს უარი დამორჩილებოდნენ ხელისუფალთა კანონიერ მოთხოვნებს და მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ პასუხისმგებლობა ყველა შესაძლო შედეგისათვის მათ ეკისრებოდათ, განაგრძობდნენ ანტიკანონიერ ქმედებას. ამით ისინი ფაქტობრივად სასწორზე დებდნენ ახალგაზრდების სიცოცხლეს და ამის ხარჯზე აგროვებდნენ პოლიტიკურ კაპიტალს, ეწეოდნენ ხალხის წმინდა გრძნობებით სპეკულაციას. ბოლო ხანს, საქართველოს სსრ კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის მოთხოვნით გამოცხადებული შიმშილობისა და გაფიცვის ინიციატორებმა საჭიროდ ჩათვალეს საგაფიცვო კომიტეტის შექმნა და გაავრცელეს განცხადება, რომ ამ ანტიკანონიერი აქციის დასასრულის ვადა განსაზღვრული არ არის.

ამ სიტუაციაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით კომპეტენტურმა ორგანოებმა მიიღეს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიის მომიტინგეთაგან განთავისუფლების მიზნით გამოიყვანეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სპეციალური ქვეგანაყოფები. ამ დროს მთავრობის სახლის წინ შეკრებილთა რიცხვი დაახლოებით 8 ათასი კაცი იყო. მანიფესტაციის ორგანიზატორებს არაერთხელ მოუწოდეს მშვიდად დაშლილიყვნენ, მაგრამ მათ არავითარი თხოვნა არ შეისმინეს, პირიქით, მათ ისედაც მძიმე მდგომარეობა ფსიქოზამდე მიიყვანეს, მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს არ მორიდებოდნენ სისხლის ღვრას წესრიგის დამცველებთან დაპირისპირებისას.

წესრიგის დამცველებს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ. წარმოქმნილი არეულობის დროს, როგორც გაცნობეთ, დაიღუპა 16 კაცი, 200-ზე მეტმა კაცმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობა, მათ შორის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 91-მა მოსამსახურემ, მათგან 20 ჰოსპიტალიზებულია, 4 მძიმე მდგომარეობაშია.

ამჟამად მთავრობის სახლის ტერიტორია განთავისუფლებულია მიტინგის მონაწილეთაგან, მათ სამხედრო ქვედანაყოფები იცავენ. მიღებულია სათანადო ზომები უწესრიგობის წამომწყებთა დასაკავებლად, არეულობის თავიდან ასაცილებლად.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გულწრფელად განიცდის ამ ტრაგედიას, მიაჩნია იგი რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შედეგად, გაკეთდება სერიოზული დასკვნები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მოგიწოდებთ რესპუბლიკის ყველა მშრომელს შეინარჩუნოთ ამ უაღრესად მძიმე, რთულ დღეებსა და საათებში სიმშვიდე, გამოიჩინოთ გონიერება, არ აჰყვეთ ექსტრემისტთა შესაძლო პროვოკაციებს, თავი შეიკავოთ ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაგან, რომლებმაც შეიძლება კიდევ უფრო შეუქცევადი გახადონ მოვლენათა ტრაგიკული განვითარება.

---

სსრ კავშირის თასის გათამაშება საბაიდარო ნიჩბოსნობაში

## ახალ ოლიმპიურ ციკლში

ბოლო წლე[illegible]ა, ამ საკითხზე ბევრს კამათობენ: სპორტის მრავალ სახეობაში ოფიციალური შეჯიბრებები (საკავშირო ჩემპიონატები, თასის გათამაშება) „კამერული“ ხასიათის ასპარეზობად იქცნენ, დაკარგეს ადრინდელი, უფრო მასობრივი სახე, თავისუფალი მონაწილეობის პრინციპი მკაცრი რეგლამენტაციით შეიცვალა, შეჯიბრებათა დებულებები მუშავდება საკავშირო ნაკრები გუნდების მწვრთნელთა მითითებით, ე. ი. ექვემდებარება ნაკრებთან მზადების კონკრეტულ, „სადღეისო“ ამოცანებსო და ა. შ. კარგია ეს თუ ცუდი, ცალკე მსჯელობის საგანია და ჯკი, როგორც ვთქვით, დისკუსიებიც გახშირდა. მოკლედ კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სასწორის ერთ პინაზე დადებულმა დიდი სპორტის პრაქტიკულმა მიზნებმა და ამოცანებმა აშკარად გადასწონა ტრადიციულ, სანახაობრივად უფრო მიმზიდველ შეჯიბრებებს შეჩვეულ მაყურებელთა ინტერესები და ასპარეზობათა დემოკრატიული ხასიათი.

ასეა თუ ისე, არც იმის დავიწყება იქნება, რომ ამგვარ შეჯიბრებათა „ელიტარულობა“, მონაწილეთა პერსონალური, „გამოძახებითი“ მიწვევა საგრძნობლად ამაღლებს კონკურენციის დონეს, უფრო საინტერესოსა და დაძაბულს ხდის შეჯიბრებებს — აქ ხომ „ტურისტებს“ ვერ იხილავთ.

ახლახან სწორედ ასეთ შეჯიბრებას — მებაიდარეთა და კანოისტთა საკავშირო გათამაშებას უმასპინძლა ფოთმა, სადაც თავი მოიყარა საბჭოთა კავშირის ყველა უძლიერესმა ნიჩბოსანმა. მოასპარეზეთა შორის იყვნენ საკავშირო ნაკრების გამოცდილი წევრებიც — ისინი, ვინც სეულის ოლიმპიადაზე ისახელა თავი (ივან კლემენტიევი, ანატოლი რენეისკი, ნიკოლაი ჟურავსკი, მიხეილ სლივინსკი და სხვები), და ის ნიჩბოსნებიც, ვისაც მწვრთნელები უახლოეს რეზერვად თვლიან, ვინც ხვალ-ზეგ უნდა დაიკავოს წინამორბედთა ადგილი.

ნიჩბოსნებმა მხოლოდ ერთადგილიანი ნავებით, თანაც ტრადიციულთან ერთად, არატრადიციულ დისტანციებზეც (ვაჟებმა 250, 500, 1000, 2000, 10 000 მეტრზე, გოგონებმა — 250, 500, 1000, 5000 მეტრზე) იასპარეზეს. სწორედ ეს გახლავთ ის სიახლენი, რომელთაც გულშემატკივრის თვალი ჯერაც ვერ შესჩვევია. არც არის გასაკვირი — ექსპერიმენტული ხასიათის, ფაქტობრივად საკონტროლო, მხოლოდ



ინდივიდუალური სანიჩბოსნო რბოლები სანახაობრივად ნამდვილად ვერ შეედრება იმ შეჯიბრებებს, სადაც „მარტოხელებთან“ ერთად ე. წ. „გუნდური ნავებიც“ (ორ და ოთხადგილიანი) გამოდიან. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ დებულების შემდგენლებს თავიანთი ანგარიში ჰქონდათ: ეს-ესაა დამთავრდა ოლიმპიური ციკლი, ნაჯაფარი ოლიმპიელები, და არა მარტო ისინი, ახლაღა იწყებენ ჩვეული სპორტული ფორმის აღდგენას, მათი ფორსირებული მზადება ამ ეტაპზე ნაადრევი და გაუმართლებელია.

მდინარე მალთაყვაზე გამართულმა რბოლებმა ეს მოსაზრება დაადასტურა: ზოგიერთ დისტანციაზე ლიდერები როგორც შეეფერებოდათ, ისე გამოკიდნენ, ზოგიერთზე კი მათზე ახალგაზრდებსა და გამოუცდელებს ჩამორჩნენ. ეს მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, მით უმეტეს ნაკრების მწვრთნელთათვის, რომელთაც საერთო შედეგებზე მეტად ნაკრების ლიდერების ახლანდელი ფუნქციონალური მდგომარეობა და „ყოჩაღი რეზერვისტების“ საბრძოლო მზადყოფნა უფრო აინტერესებდათ.

ჩვენი ინტერესებიც სავსებით შეესატყვისებოდა ამ საერთო, პრაქტიკულ სულისკვეთებას, რადგან ყველაზე მეტად ერთი კონკრეტული საკითხი გვაღელვებდა. საქმე ის გახლავთ, რომ თასის ამ გათამაშებაში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდა ერთადერთი სპორტსმენი — საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ედუარდ ქაშაკაშვილი. ფოთელი ნიჩბოსნის უმთავრესი ამოცანა გახლდათ ნაკრებში პოზიციების განმტკიცება, რაც, თავის მხრივ, მოახლოებულ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მისი წარმატებული გამოსვლის იმედს ჩაგვინერგავდა.

2000-მეტრიან დისტანციაზე ქაშაკაშვილმა VI ადგილი დაიკავა 86 მონაწილეს შორის, 10 000-მეტრიანზე (68 მონაწილე) XV ადგილზე გავიდა, დანარჩენ დისტანციებზე კი (250, 1000, 500) ცოტა დააკლდა საუკეთესოთა ოცეულში მოსახვედრად.

— როგორ შევაფასოთ მისი გამოსვლა? — ვკითხეთ ამ შეჯიბრების მთავარ მსაჯს, საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს საბაიდარო ნიჩბოსნობაში თეზეი ნეგეფტიდის.

— დამაკმაყოფილებლად, შეიძლება ითქვას, კარგადაც. — გვითხრა მან — მისი ასაკიც. გაითვალისწინეთ და ქვეყნის პირველი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრთა და კანდიდატთა რაოდენობაც. ქაშაკაშვილს სრული შესაძლებლობა აქვს ახალგაზრდულ თამაშებზე მედლისათვის იბრძოლოს, საამისოდ მას ყველა მონაცემები აქვს, თუმცა არც ის უნდა დაივიწყოს, რომ ამ მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავი ვარჯიში და ნებისყოფის უჩვეულო დაძაბვა იქნება საჭირო. ერთი სიტყვით, იგი ერთადერთია, ვისი ყველაზე დიდი იმედი გვაქვს ახალგაზრდულ თამაშებზე.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მწვრთნელებმა აღნიშნეს: რბოლები ძალზე საინტერესოდ, დაძაბულად ჩატარდა, უბის წიგნაკებში ბევრი რამ ჩავინიშნეთ. მასპინძლებსაც ვემადლიერებით — ცდა არ დაუკლიათ, რაც შეეძლოთ, გააკეთესო. ამ რანგის ასპარეზობის მასპინძლობა მართლაც არ გახლავთ ადვილი საქმე, ასე რომ, საქართველოს სპორტსახკომის ფოთის სანიჩბოსნო ბაზამ (დირექტორი არველოდი ჩხაიძე), ქალაქის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე ოთარ ხომერიკი) და ფოთში გამართულ მნიშვნელოვან სპორტულ ასპარეზობათა კეთილმა დიასახლისმა, ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ფოთოლა ქაჯაიამ სავსებით დაიმსახურეს გულთბილი სიტყვები.

**თ. შენგელია.**

---

## მოკლედ

### შვიდი გუნდის მონაწილეობით

აბაშის რაიონის სოფელ ქოლობანის საშუალო სკოლის სპორტდარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შვიდმა გუნდმა. ასპარეზობა ჩატარდა წრიული სისტემით. შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა და პირველი ადგილი დაიკავა ქალაქის ს. ი. ჩიქოვანის სახელობის №2 საშუალო სკოლის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა. მეორე-მესამე საპრიზო ადგილები შესაბამისად დაიკავეს ქალაქის ი. ბ. კაჭარავას სახელობის №1 და ქოლობნის საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

### იასპარეზეს მოსწავლეებმა

ვანის რაიონის სოფელ ამაღლების შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის სპორტულ ბაზაზე გაიმართა მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში.

საშუალო სკოლებს შორის ბრწყინვალედ იასპარეზა და ზედიზედ მეორედ მოიპოვა პირველი ადგილი კიროვის საშუალო სკოლის ნაკრებმა გუნდმა. ამაღლების შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის გუნდი მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა ყუმურის საშუალო სკოლის ნაკრები.

არასრულ საშუალო სკოლებს შორის ყველას აჯობა ინაშაურის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივმა.

**ნიკოლოზ იორამაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურულ კოლექტივებში

# სამატჩო შეხვედრაზე

ქუთაისის სპორტკომბინატის სადემონსტრაციო დარბაზში პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს თაოსნობით ჩატარდა ორი მცირერიცხოვანი ფიზკულტურული კოლექტივის — „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოსა და სარემონტო-მექანიკური ქარხნის სამატჩო შეხვედრა.

მონაწილეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბაგირის გადაძალვაში, მკლავჭიდში, 16-კილოგრამიანი საწონის აწევაში, ბურთის მიზანში სროლასა და მინიფეხბურთში.

ეს საინტერესო სამატჩო შეხვედრა მინიფეხბურთით დაიწყო. აშკარა იყო „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს გუნდის უპირატესობა, რომელიც ორივე ტაიმის განმავლობაში უტევდა და ეს ანგარიშშიც აისახა — 6:0.

ბაგირის გადაძალვამ ტრადიციულად დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. გამარჯვებულის გამოვლენას სამი ცდა დასჭირდა და ამჯერადაც მაღაროელებმა იმარჯვეს.

სარემონტო-მექანიკური ქარხნის გუნდის წევრებს უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ და ამიტომ მათ ყველაფერი იღონეს, რომ წარმატებისთვის მიეღწიათ; მესამე სახეობაში — ბურთის მიზანში სროლაში დიდი მონდომების ფასად მათ ეს შესძლეს კიდეც და ანგარიშში სხვაობაც მინიმუმამდე შეამცირეს. მაგრამ შემდეგ სახეობაში — საწონების აწევაში თავის სიტყვა თქვა „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ზ. პერსანიძემ, რომელმაც 16-კილოგრამიანი საწონი 110-ჯერ ასწია და თავის კოლექტივს დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა.

ბოლო სახეობაში მკლავჭიდში ემოციებმა ყველა ზღვარს გადააჭარბა. როგორც საერთოდ დაძაბულ შეჯიბრებას ახასიათებს, იყო პრეტენზიები მსაჯთა კოლეგიის მიმართ, მეტოქეთა კამათი. ორივე კოლექტივის ქომაგები მთელი მონდომებით ცდილობდნენ მეტოქეთა გამხნევებას. მართლაც რომ, დაძაბულ ბრძოლაში ისევ მაღაროელებმა გაიმარჯვეს, ხოლო ქარხნის გუნდს ნუგეშად ისღა დარჩა, რომ მათმა წარმომადგენელმა დ. ბანძელაძემ პირად პირველობაში ყველა მეტოქე დაჯაბნა და ამ წარმატებისათვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ანგარიშით 13:7 გაიმარჯვა „ქუთბარიტის“ სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივის გუნდმა, რომელსაც ეს წარმატება პირველად მეტოქეებმა მიულოცეს და იქვე შესთავაზეს მეორე სამატჩო შეხვედრა.

ასეთი ღონისძიებები მომავალში ტრადიციული გახდება პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს და ახალშექმნილი ამავე საზოგადოების რაიონული საბჭოებისათვის.

არადა, ეს საშური საქმეა, რადგან დროა მცირერიცხოვან კოლექტივებში ჩქეფდეს აქტიური ფიზკულტურული ცხოვრება და აქაური მუშა-მოსამსახურეებიც ეზიარონ ჯანსაღი ცხოვრების სიკეთეს.

**თამაზ კოლხიდელი,**
**(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).**
ქუთაისი.

---

# ენთუზიასტის ხელი

**რომელ** ჭაბუკს არ უოცნებია რინგზე გამარჯვება, რამდენჯერ წარმოუდგენია თავი ჩემპიონად. მაგრამ ცხადში ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ნამდვილი მოკრივე რომ გახდე, ამისათვის ძალზე დიდი შრომა და ნებისყოფაა საჭირო. სრულყოფის მისაღწევად კი განსაკუთრებული მნიშვნელობა მწვრთნელს ენიჭება. სწორედ მასზეა დამოკიდებული სპორტსმენის მომავალი. ამ მხრივ, ხობის სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს ნამდვილად გაუმართლათ: სულ 6 თვეა, რაც სასწავლებელში კრივის განყოფილება გაიხსნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ტარიელ ვერულაშვილი. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ამ მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მოსწავლეებმა საკავშირო ტურნირებსა და რესპუბლიკური პირველობის გათამაშებაში რამდენიმე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ახლახან უკრაინის ქალაქ ილიჩოვსკში, ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა საკავშირო ტურნირი გაზეთ „ჩერნომორსკი სმენას“ პრიზზე. მონაწილეობდა უკრაინის, რსფსრ-ს, ბელორუსიის, მოლდავეთის, საქართველოს, სულ 18 ქალაქის 150-ზე მეტი ჭაბუკი მოკრივე. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ტურნირზე სწორედ ხობის სპორტული სკოლა-ინტერნატის გუნდი იცავდა. ახალბედებმა ტოლი არ დაუდეს გამოცდილ მეტოქეებს და წარმატებას მიაღწიეს.

უფროს ასაკში (1973-1974 წ-ში დაბადებულნი), ექვსმა სპორტსმენმა: ბ. მანჯავიძემ (38 კგ), ი. აბსარიძემ (44), ე. ეჯიბიამ (48), გ. რუსიამ (50), ფ. ჩიქობავამ (57), გ. ადამიამ (63) პირველი ადგილები დაიკავეს. კ. ვახანია (38), ზ. ზუევი (48), ვ. ჭითანავა (50), კ. გაბისონია (52), ლ. ჯავახია (57), ზ. ხურცილავა (66) მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ.

მათ არც უმცროსები ჩამორჩნენ და ოთხმა მათგანმა — გ. სამსეიშვილმა (36), დ. თულაძემ (42), ს. ბაირამიდიმ (44), ი. ხარბედიამ (54), პირველობა არავის დაუთმეს.

მიზნის მისაღწევად, თურმე, სულ არ ყოფილა საჭირო წლები. მთავარია, იყო შენი საქმის კარგი მცოდნე, მისი სიყვარული გქონდეს და მას მოახმარო მთელი შენი შესაძლებლობანი.

ხობის სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში ყველა პირობაა შექმნილი კრივის გასავითარებლად. იმედია, შედეგიც სასურველი იქნება და ტ. ვერულაშვილი და მისი აღსაზრდელები კიდევ ბევრჯერ გაახარებენ გულშემატკივრებს.

**კუკური ნაცვლიშვილი,**
**ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის დირექტორი.**

---

# ასპარეზზე მოსწავლეებმა

**ლაგოდეხის** რაიონის სოფელ ნინიგორის საშუალო სკოლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდი აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, არა მარტო რაიონის, კახეთის ზონის ჩემპიონიცაა.

ამ სკოლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა ამას წინათ ზუგდიდში გამართულ პროფკავშირთა რესპუბლიკური სპორტსაზოგადოების ფინალურ პირველობაზე II ადგილი დაიკავა.

სკოლაში ტრადიციად იქცა ნაკრები გუნდის წევრებს შორის პირველობის ჩატარება „ერთი-ერთზე“. მიმდინარე სასწავლო წელს ეს ასპარეზობა მეცამეტედ ჩატარდა. 10 ქულით I ადგილი დაიკავა და სკოლის ჩემპიონი გახდა დ. მაისაშვილი. 9 და 8 ქულით შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს სკოლის გასული წლის ჩემპიონმა ბ. ბარბაქაძემ და ე. გვენეტაძემ.

პრიზიორები სკოლის დირექციამ დააჯილდოვა გარდამავალი თასებით და დიპლომებით.

**მარინე თითბერიძე,**
**ნინიგორის საშუალო სკოლის კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი.**

---

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**9 აპრილს** გაიმართა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის კალენდარული მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „დინამო“ მ. — „დინამო“ კ. 1:1, „პამირი“ — „ლოკომოტივი“ 1:0, „დნეპრი“ — „დინამო“ მნ. 2:1, „ჩერნომორეცი“ — „ჟალგირისი“ 1:0, „შახტიორი“ — „როტორი“ 0:0, „არარატი“ — „ტორპედო“ 1:0. თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩი არ შედგა.

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 11 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 6 | 4 | 2 | 0 | 13-2 | 10 |
| „არარატი“ (ერევანი) | 6 | 4 | 1 | 1 | 5-4 | 9 |
| „დინამო“ (კიევი) | 6 | 3 | 3 | 0 | 11-3 | 9 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 6 | 4 | 0 | 2 | 8-4 | 8 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 6 | 3 | 2 | 1 | 8-8 | 8 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 6 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 6 | 2 | 2 | 2 | 3-3 | 6 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 6 | 1 | 4 | 1 | 3-2 | 6 |
| „დინამო“ (თბილისი) | 5 | 1 | 4 | 0 | 6-5 | 6 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 6 | 2 | 1 | 3 | 6-7 | 5 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 5 |
| „დინამო“ (მინსკი) | 6 | 2 | 0 | 4 | 9-11 | 4 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 6 | 1 | 2 | 3 | 3-9 | 4 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 5 | 1 | 1 | 3 | 1-8 | 3 |
| „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 6 | 0 | 3 | 3 | 3-9 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 6 | 0 | 2 | 4 | 2-7 | 2 |

## I ლიგა

**9 აპრილს** შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის II ტურის შეხვედრები: „მინსკი“ — „გეოლოგი“ 1:0, „კოტაიკი“ — „ნისტრუ“ 0:1, „მეტალურგი“ — ასკ „კარპატი“ 2:1, ასკ (დონის-როსტოვი) — „დაუგავა“ 4:1, „სპარტაკი“ — „კუზბასი“ 0:0, „ნეფთჩი“ — ცსკა 0:3, „ყუბანი“ — „ფაკელი“ 0:2, „ფახთაქორი“ — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0, „კაირატი“ — „გურია“ 2:1, ქუთაისის „ტორპედოსა“ და სიმფეროპოლის „ტავრიის“, აგრეთვე, ბათუმის „დინამოსა“ და როსტოვის „როსტსელმაშის“ შეხვედრები არ შედგა.

# ფეხბურთის სამმართველოში

**როგორც** გუშინ გვაცნობეს საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან, საქართველოს 1989 წლის ჩემპიონატის მატჩები არც ერთ ჯგუფში უახლოეს შაბათ-კვირას არ შედგება. გარდა ამისა, არ შედგება 11 აპრილს დანიშნული II ლიგის შეხვედრები ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში.

# ითხოვენ დამატებით სუბსიდიებს

**მსოფლიოს** მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა იტალიის მთავრობას თხოვნით მიმართა დამატებით გამოჰყოს 200 მილიონი დოლარი, რაც საჭიროა იმ 12 სტადიონისთვის, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება.

სულ ცოტა ხნის წინ იტალიის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ორგკომიტეტის განცხადება 300 მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე, ახლა კი ეს ახალი მოთხოვნაა. მიმდინარეობს 10 სტადიონის რეკონსტრუქცია, ხოლო ტურინსა და ბარიში დასასრულს უახლოვდება ორი ახალი სტადიონის მშენებლობა.

---

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

### იტალია

**23-ე ტური.** „ინტერი“ — „კომო“ 4:0, „ნაპოლი“ — „იუვენტუსი“ 2:4, „მილანი“ — „ატალანტა“ 2:1, „კომო“ — „სამპდორია“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი“ | 23 | 43-10 | 40 |
| „ნაპოლი“ | 23 | 44-19 | 34 |
| „სამპდორია“ | 23 | 31-13 | 31 |

### საფრანგეთი

**31 და 32-ე ტურები.** „რესინგი“ — „კანი“ 1:0, „სტრასბურგი“ — „მონაკო“ 1:2, „ნიცა“ — „კაენი“ 5:0, „სენტ ეტიენი“ — „სენ ჟერმენი“ 0:0, „ტულუზა“ — „ტულონი“ 1:0, „სენ ჟერმენი“ — „ნიცა“ 1:0, „მარსელი“ — „მეცი“ 3:1, „ბორდო“ — „რესინგი“ 3:2, „ლილი“ — „ტულუზა“ 0:0, „მონპელიე“ — „ოსერი“ 1:0, „სოშო“ — „ლილი“ 2:0, „ლანი“ — „ბორდო“ 0:2, „ლავალი“ — „მეცი“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენ ჟერმენი“ | 32 | 38-22 | 61 |
| „მარსელი“ | 31 | 48-30 | 59 |
| „სოშო“ | 31 | 38-19 | 56 |

### ჩეხოსლოვაკია

**მე-20 ტური.** „ჰრადეც კრალოვი“ — „რუდა ჰვეზდა“ 1:1, „ვიტკოვიცე“ — „სიგმა“ 1:0, „პლასტიკა“ — „სლავია“ 1:0, „დუკლა“ — „ინტერი“ 3:2, „სლოვანი“ — „სპარტა“ 1:0, „ბოჰემიანსი“ — „ბანსკა ბისტრიცა“ 0:2, „დუნაისკა სტრედა“ — „სპარტაკი“ (ტრნავა) 1:1, „შკოდა“ — „ბანიკი“ 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა“ (პრაღა) | 20 | 53-17 | 31 |
| „ბანიკი“ (ოსტ.) | 20 | 29-16 | 28 |
| „პლასტიკა“ (ნიტ.) | 20 | 26-26 | 23 |

### უნგრეთი

**მე-20 ტური.** „ვაშაში“ — „დოჟა“ (უიპეშტი) 0:0 (4:5), „ვესპრემი“ — „კოჰაზი“ 2:2 (5:3), „ტატაბანია“ — „სომბათჰეი“ 2:2 (4:5), „ფერენცვაროში“ — „სომბათჰეი“ 0:0 (3:4), „ტატაბანია“ — მტკ 1:1 (3:4), „შეკეშფეჰერვარი“ — „ჰონვედი“ 3:1, „პეჩი“ — „ზალაეგერსზეგი“ 0:0 (2:4), „რაბა ეტო“ — „ბეკეჩაბა“ 2:0, „სიოფოკი“ — „ვაკი“ 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| მტკ | 20 | 32-26 | 41 |
| „შეკეშფეჰერვარი“ | 20 | 43-23 | 40 |
| „ფერენცვაროში“ | 20 | 33-23 | 40 |

### ინგლისი

**30-ე ტური და დარჩენილი მატჩები.** „ასტონ ვილა“ — „ვესთ ჰემი“ 0:1, „ჩარლტონი“ — „ქოვენთრი“ 0:0, „დერბი“ — „ნოტინგემი“ 0:2, „ევერტონი“ — „მილუოლი“ 1:1, „მანჩესტერი“ — „ლუთონი“ 2:0, „ნორვიჩი“ — „ნიუკასლი“ 0:2, „შეფილდი“ — „ქუინს პარკი“ 0:2, „საუთჰემპტონი“ — „არსენალი“ 1:3, „უიმბლდონი“ — „მიდლსბრო“ 1:1, „ტოტენჰემი“ — „ლივერპული“ 1:2, „ქუინს პარკი“ — „ლუთონი“ 1:1, „არსენალი“ — „ჩარლტონი“ 2:2, „ქოვენთრი“ — „საუთჰემპტონი“ 2:1, „მიდლსბრო“ — „ევერტონი“ 3:3, „მილუოლი“ — „უიმბლდონი“ 0:1, „ნიუკასლი“ — „შეფილდი“ 1:3, „ნოტინგემი“ — „მანჩესტერი“ 2:0, „ვესთ ჰემი“ — „ნორვიჩი“ 0:2, „ქუინს პარკი“ — „ასტონ ვილა“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი“ | 30 | 58-31 | 59 |
| „ნორვიჩი“ | 29 | 42-30 | 56 |
| „ლივერპული“ | 28 | 46-22 | 51 |

### ესპანეთი

**26-ე და 27-ე ტურები.** „ვალენსია“ — „ბილბაო“ 0:0, „ბეტისი“ — „ბარსელონა“ 0:2, „მალაგა“ — „კადისი“ 0:2, „ესპანიოლი“ — „ატლეტიკო“ 1:0, „ელჩე“ — „სევილია“ 1:2, „ოსასუნა“ — „ლოგრონიესი“ 0:0, „ხიხონი“ — „ვიგო“ 1:2, „სან სებასტიანი“ — „მურსია“ 0:2, „ბარსელონა“ — „რეალი“ 0:0, „სევილია“ — „ვალენსია“ 1:0, „რეალი“ — „ვალიადოლიდი“ 3:2, „სარაგოსა“ — „ოვიედო“ 3:1, „ესპანიოლი“ — „კადისი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 26 | 65-26 | 44 |
| „ბარსელონა“ | 27 | 56-20 | 41 |
| „სელტა ვიგო“ | 26 | 28-26 | 32 |

### თურქეთი

**27-ე ტური.** „მალატიასპორი“ — „საკარიასპორი“ 3:0, „ალტაი“ — „სამსუნსპორი“ 3:0, „ბოლუსპორი“ — „კარსიაკა“ 2:3, „რიზესპორი“ — „დემისპორი“ 2:1, „ადანასპორი“ — „ესკიშეჰირსპორი“ 4:0, „სარისპორი“ — „გალათასარაი“ 3:1, „ფენერბახჩე“ — „ბეშიქთაში“ 2:1, „კონიასპორი“ — „ტრაბზონსპორი“ 0:1, „ბურსასპორი“ — „ანკარაგიუჯუ“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფენერბახჩე“ | 26 | 71-18 | 65 |
| „ბეშიქთაში“ | 26 | 63-13 | 63 |
| „სარისპორი“ | 26 | 52-29 | 54 |

### ბელგია

**27-ე ტური.** „ანტვერპენი“ — „ლოკერენი“ 4:1, „მეჰელენი“ — „ბრიუგე“ 1:0, „ბევერენი“ — „შარლერუა“ 1:1, „სტანდარდი“ — „კორტრიკი“ 2:2, „ანდერლეხტი“ „სენტ ტრუდენი“ 2:2, „ლიერსი“ — „მოლენბეკი“ 3:1, „გენკი“ — „რესინგი“ 1:1, „სერიკლი“ — „ბეერსკოტი“ 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მეჰელენი“ | 27 | 54-14 | 47 |
| „ანდერლეხტი“ | 27 | 65-28 | 40 |
| „ანტვერპენი“ | 27 | 53-29 | 37 |

### პორტუგალია

**31-ე ტური.** „ფაფე“ — „პენაფიელი“ 0:0, „ბოავიშტა“ — „ესპინიო“ 1:0, „სპორტინგი“ — „გიმარაეში“ 1:0, „ამადორა“ — „პორტიმონენსე“ 1:0, „ვიტორია“ (სეტუბალი) — „ვისეუ“ 2:0, „შავიში“ — „ფარენსე“ 0:0, „ბრაგა“ — „ბელენენსეში“ 2:0, „ბეირა მარი“ — „ბენფიკა“ 0:1, „ლეიქსოეში“ — „პორტო“ 0:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 31 | 47-10 | 51 |
| „პორტო“ | 31 | 42-14 | 45 |
| „ბოავიშტა“ | 31 | 44-22 | 40 |

### ჰოლანდია

**26-ე ტური.** „ვენლო“ — „ფეიენოორდი“ 1:1, „ტილბურგი“ — „უტრეხტი“ 2:0, „ცვოლე“ — „ეინდჰოვენი“ 0:5, „აიაქსი“ — „ჰარლემი“ 5:0, „სიტარდი“ — „ვოლენდამი“ 1:1, „სპარტა“ — „ვალვიკი“ 2:2, „დენ ბოში“ — „მაასტრიხტი“ 3:0, „ტვენტე“ — „როდა“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 26 | 64-26 | 41 |
| „აიაქსი“ | 26 | 58-28 | 37 |
| „ტვენტე“ | 26 | 36-18 | 32 |

### არგენტინა

**28-ე ტური.** „ესტუდიანტესი“ — „ბოკა ხუნიორსი“ 1:2, „პლატენსე“ — „ინდეპენდიენტე“ 2:3, „დეპორტივო არმენიო“ — „სან მარტინი“ 2:0, „რივერ პლეიტი“ — „რესინგი“ (ბუენოს-აირესი) 1:0, „ველეზ სარსფელდი“ — „გიმნასია ესგრიმა“ 1:0, „ტალერესი“ — „რესინგი“ (კორდობა) 2:1, „როსარიო სენტრალი“ — „სან ლორენსო“ 0:0 (3:1), „დეპორტივო მანდიუ“ — „ფეროკარილ ოესტე“ 0:0 (3:1), „არგენტინოს ხუნიორსი“ — „ინსტიტუტო“ 1:3, „დეპორტივო ესპანიოლი“ — „ნეველს ოლდ ბოისი“ 0:0 (5:4).

| | | |
|---|---|---|
| „ბოკა ხუნიორსი“ | 28 | 58 |
| „ინდეპენდიენტე“ | 28 | 55 |
| „გიმნასია ესგრიმა“ | 28 | 51 |

### ბრაზილია (რიო-დე-ჟანეირო)

**მე-7 ტური.** „ფლუმინენსე“ — „ვასკო და გამა“ 2:0, „კაბოფრიენსე“ — „ბოტაფოგო“ 0:2, „პორტო ალეგრე“ — „ამერიკანო“ 2:1, „ამერიკა“ — „ბანგუ“ 1:1, „ფლამენგო“ — „ოლარია“ 3:0, „ვოლტა რედონდა“ — „ნოვა სიდადე“ 2:2.

| | |
|---|---|
| „ფლუმინენსე“ | 10 |
| „ფლამენგო“ | 8 |
| „ბოტაფოგო“ | 8 |

(საქ. ინფ.)

### ჭაბუკ ძალოსანთა რესპუბლიკური პირველობა

# ჭიათურამ უმასპინძლა

**მასობრიობის** მხრივ ძალოსნობაში რესპუბლიკის მასშტაბით რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა — მეორე წელია, რაც მუშაობს პროფკავშირთა რესპუბლიკური სკოლა (დირექტორი ალექსანდრე ჯეჯელავა). ახლახან კი გაიხსნა სამხრეთ-ოსეთის სპორტკომიტეტთან არსებული ძალოსნობის სპორტსკოლა (დირექტორი გრიგოლ კოჩიევი). მალე, ალბათ, თელავშიც გაიხსნება ძალოსნობის სპორტული სკოლა. ამას გარდა ბოლო ხანებში სპორტის ამ სახეობაში სექციები ამოქმედდა ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე რეგიონში. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ 1973 წ. და უფრო გვიან დაბადებულ ჭაბუკ ძალოსანთა პირად გუნდურ რესპუბლიკურ პირველობაზე, რომელიც ჭიათურის სპორტულ კომპლექსი გაიმართა, 100-ზე მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად ყველაფერი იღონა ჭიათურის პარტიულმა ხელმძღვანელობამ და სპორტკომიტეტმა.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: თბილისის, საჩხერის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, წყალტუბოს, ახალციხის, ზუგდიდისა და ზუგდიდს რაიონის გუნდები.

შეჯიბრებაზე შესრულდა 2 სპორტის ოსტატის კანდიდატის, 6 პირველი და 28 მეორე თანრიგის ნორმატივები. რაც ამ ასაკის სპორტსმენთა შორის ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს.

ყველაზე მეტი საპრიზო ადგილები მოიპოვეს მწვრთნელების გოგი თოდაძის, ვაჟა კაპანაძის (საჩხერე), გარი აირაპეტოვის, გურამ ფარულავას (თბილისი), ალექსანდრე მედოევის, ვანო გრიქულოვის (ცხინვალი) აღზრდილებმა. მათ გარდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდნენ ზურაბ ანთაურის, ვლადიმერ ქორქოლიანის, სერგო თათეოსიანის, იური ნებიერიძის (თბილისი), სერგო ვართანიანის, გივი ქურდაძის (ახალციხე), ბადრი პაპიძის, მალხაზ ლომთაძის (ქუთაისი), გურამ მამიაშვილის (წყალტუბო), ანდრო თურმანიძის შეგირდები. ჯერჯერობით, ცხადია, ნაადრევია ლაპარაკი ჩვენი ძალოსნობის პერსპექტივებზე, მაგრამ ერთი რამე ნათელია, დღეს, სპორტის ამ სახეობაში, აშკარად ჩანს პოზიტიური ძვრები, რამაც არ შეიძლება მომავალში თავისი დადებითი შედეგი არ გამოიღოს.

ახლა კი გაგაცნობთ წონით კატეგორიებში გამარჯვებულ სპორტსმენებს: **36 კგ.** შალვა ბულაძე (საჩხერე) 35+45=80; **40 კგ.** ხვიჩა მაისურაძე (ცხინვალი) 50+65=115; **44 კგ.** ედუარდ მაცაკანიანი (თბილისი) 52,5+65=117,5; **48 კგ.** არმენ აირაპეტოვი (თბილისი) 62,5+90=152,5; **52 კგ.** [illegible] სარქისიანი (ახალციხე) 65+85=150; **56 კგ.** [illegible] (ცხინვალი) 85+105=190; **60 კგ.** კობა დიდბერიძე (საჩხერე) 95+115=21[illegible]; **67,5 კგ.** თემურ პოპოვი (თბილისი) 97,5+120=217,5; **75 კგ.** ზურაბ ხმიადაშვილი (თბილისი) 85+112,5=197,5; **82,5 კგ.** ალან კოჩიევი (ცხინვალი) 110+140=250; **90 კგ.** ზაალ გვიანიძე (საჩხერე) 107,5+142,5=250; **+90 კგ.** ლევან შაგინიანი (თბილისი) 105+132,5=237,5.

გუნდური: თბილისი — 1988 ქულა, საჩხერე — 1544, სამხრეთ ოსეთი 968.

# ორ ტურში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა

**მინსკი (10 აპრილი. ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.).** 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობების საბჭოთა შესარჩევ შეჯიბრებაში ბოლო ორ ტურს არსებითი ცვლილებები არ მოუტანია, ლიდერები კვლავ ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს, აუტსაიდერები კი ყოველ ღონეს ხმარობენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. IV ტურში თეთრი ფიგურებით ლაგვილავას მე ვხვდებოდი. როგორც იცით, ჰენრიეტამ პირველ ტურზე ჩამოსვლა დააგვიანა, ხოლო მომდევნო ორ ტურში ერთი ქულა მოაგროვა. ამიტომ, ბუნებრივია, იგი შეეცდებოდა მთელი ძალით ებრძოლა და საკუთარი ქულათა მარაგი გაეზარდა. ასეც მოხდა, მე უხეიროდ გავითამაშე დებიუტი და ინიციატივა მთლიანად მეტოქეს დავუთმე. მაგრამ მერე, თანდათან მოვახერხე მდგომარეობის გამოსწორება და საბოლოოდ ყაიმს მივაღწიე.

ნათია ჯანჯღავა შავი ფიგურებით ბაქოელ ალბინა იურევას ეთამაშებოდა. ქართველმა ოსტატმა კარგად ისარგებლა მეტოქის ცაიტნოტით და კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში.

ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ველიხანლი — დომარკაიტე 1:0, კორკინა — ბელაკოვსკაია 0,5:0,5, ლაისონი — ტერელაძე 1:0, შური — მატვეევა 0:1, სოფიევა — კიბრიკი 1:0.

V ტურში აუტსაიდერ ტატიანა კიბრიკს შევხვდი, რომელსაც ჯერ არც ერთი ქულა არა აქვს აღებული. მოგება არ გამჭირვებია, მით უფრო, რომ 22-ე სვლაზე მოწინააღმდეგის ლაზიერი „დავიჭირე".

ჯანჯღავას მეტოქე ბაქოელი ფირუზა ველიხანლი იყო. თავდაპირველად ქართველმა მოჭადრაკემ პაიკი დაკარგა, მაგრამ მერე მძაფრი იერიში ჩაატარა და ველიხანლი იძულებული გახდა დანებების ნიშნად საათი გაეჩერებინა.

ამ ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა სამტრედიელმა ოსტატმა სოფიკო ტერელაძემ, რომელმაც ლენინგრადელ ჟანა შურს სძლია.

დასანანი მარცხი იწვნია ლაგვილავამ. მას იურევამ მოუგო.

V ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: მატვეევა — სოფიევა 0:1, ბელაკოვსკაია — ლაისონი 1:0, დომარკაიტე — კორკინა 0:1.

ხუთი ტურის შემდეგ 4,5 ქულით ტურნირს კვლავ მე ვლიდერობ. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ჯანჯღავამ და ანჯელა ბელაკოვსკაიამ (ოდესა). 3,5-3,5 ქულა აქვთ აინურ სოფიევას (ბაქო), სვეტლანა მატვეევასა (ფრუნზე) და სვეტლანა კორკინას (ივანოვო). ლაგვილავამ და ტერელაძემ 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს, ოღონდ ლაგვილავას ერთი პარტია მარაგში აქვს.

**ქეთევან კახიანი,**
*საერთაშორისო ოსტატი.*

# მეზადებიან ახალგაზრდული თამაშებისათვის

**იუნიორ** ხუთჭიდელთა რესპუბლიკურ პირველობაზე, რომელიც ამას წინათ დამთავრდა თბილისში, თავიდანვე დაწინაურდა (ფარიკაობა) დინამოელი ლ. ბელოუსოვი. სროლის შემდეგ მას პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელმა ვ. მალიშევმა ჩამოართვა ლიდერობა, რაც ცურვაში უფრო განიმტკიცა; მძლეოსნური კროსისა და საცხენოსნო კონკურსის შედეგად კი 5.304 ქულას მოუყარა თავი და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მის უახლოეს მდევარს ლ. ბელოუსოვს 5282 ქულა დაუგროვდა, მესამე ადგილზე გავიდა ბ. კაცებიანი (პროფკავშირები).

გუნდური პირველობა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების-I გუნდმა მოიპოვა, შემდეგ მოდიან „დინამო-I" და ასკ-I-ის წარმომადგენლები. ამ ხუთჭიდელთაგან, რომელთაც დაემატება მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი იუნიორთა გუნდურ პირველობაში რევაზ ლოხიშვილი (პროფკავშირები) შეირჩევა ნაკრები და იგი IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას.

**ე. უნგიაძე,**

# ყაიმი მე-15 სვლაზე

**ბარსელონაში** გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების IV ეტაპი. VIII ტურში შეჯიბრების ლიდერი ლიუბოევიჩი შავი ფიგურებით დაუზავდა ილესკასს. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ნიკოლიჩ — სალოვის, სპასკი — სპილმენის, რიბლი — ჰიარტარსონისა და იუსუპოვ — ჰიუბნერის პარტიები. ნოგეირასმა სძლია ბელიავსკის, კასპაროვმა — შორტს, სეირავანი დამარცხდა კორჩნოისთან. ვაჰანიანი ისვენებდა.

IX ტურში ცენტრალური იყო ლიუბოევიჩ—კასპაროვის შეხვედრა. ყველასთვის მოულოდნელად, მე-15 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა დაზავება შესთავაზა მეტოქეს. ლიდერმა მიიღო ეს წინადადება. სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ჰიუბნერი — სეირავანი 0,5:0,5, ჰიარტარსონი — იუსუპოვი 0,5:0,5, შორტი — რიბლი 1:0, სპილმენი — ილესკასი — 1:0, ვაჰანიანი — ნიკოლიჩი 0,5:0,5. გადაიდო ბელიავსკი — სპასკისა და სალოვ — ნოგეირასის შეხვედრები. კორჩნოი ამ დღეს თავისუფალი იყო.

9 ტურის შემდეგ ლიუბომირ ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) 6,5 ქულა აქვს, ნაიჯელ შორტს (ინგლისი) — 5,5, არტურ იუსუპოვს — 5 (8-დან), იოჰან ჰიარტარსონს (ისლანდია) და რობერტ ჰიუბნერს (გფრ) 5-5, გარი კასპაროვსა და ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) — 4,5-4,5 (8-8 შეხვედრიდან).

# ნბა-ს „ვარსკვლავები"— ოლიმპიადაზე

**სამოყვარულო** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა-მ) მიუნხენში გამართულ სესიაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო — ამიერიდან ოლიმპიურ თამაშებზე დაუშვებენ პროფესიონალ კალათბურთელებს.

ფარული კენჭისყრის შემდეგ 55 დელეგატმა მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას, წინააღმდეგ წავიდა 15. არ დაამტკიცეს ალტერნატიული წინადადება იმის შესახებ, რომ შეეზღუდათ პროფესიონალთა რიცხვი თითოეულ გუნდში და მხოლოდ ორ-ორი მოთამაშე დაეშვათ.

პროფესიონალები უკვე 1992 წელს, ბარსელონის ოლიმპიადაზე იასპარეზებენ. ამ გადაწყვეტილებამ ყველაზე დიდი ენთუზიაზმი, ცხადია, ამერიკელთა შორის გამოიწვია, რომლებიც იმედოვნებენ ნბა-ს მოთამაშეების მონაწილეობას ოლიმპიადაში.

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**მილანი.** იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ ეროვნული ჩემპიონატის ერთი მატჩით დისკვალიფიკაცია მისცა „ტორინოში" მოთამაშე ბრაზილიელ ფეხბურთელს ედუს. ამ ამბავმა იტალიური პრესის ყურადღება იმით მიიყრო, რომ ედუ დასაჯეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ჩეზენას" ხელმძღვანელობამ ოფიციალური პროტესტი შეიტანა ფედერაციაში. „ტორინო" და „ჩეზენა" 19 მარტს შეხვდნენ ერთმანეთს, ედუმ ტრავმა მიაყენა ერთ-ერთ მეტოქეს, რისთვისაც მსაჯმა მას ყვითელი ბარათი აჩვენა. მაგრამ „ჩეზენას" ხელმძღვანელობის აზრით ეს სასჯელი არასაკმარისი იყო, ვიდეოჩანაწერის განმეორებითმა განხილვამ ცხადყო, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი განზრახ თამაშობდა უხეშად. ამიტომაც სადისციპლინო კომისია დაეთანხმა „ჩეზენას" მოთხოვნას.

**ბელგრადი.** იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ მაქსიმალური თანხით 3 მილიონი დინარით დააჯარიმა ზაგრების „დინამო". როგორც იუწყებიან, „დინამოს" გულშემატკივრებმა ბელგრადის „პარტიზანთან" შეხვედრის შემდეგ დაარბიეს ზაგრების სტადიონი, 7 კაცი დაიჭრა გულშემატკივართა ხელჩართული ბრძოლის დროს, პოლიციამ 36 ხულიგანი დააპატიმრა.

**ბუქარესტი.** რუმინეთის უძლიერესი კლუბის „სტიაუას" ორი საუკეთესო ფეხბურთელი ტუდორელ სტოიკა და ვიქტორ პეტურკა მომავალი სეზონიდან ითამაშებენ საფრანგეთის „ნენსში". ჟურნალისტებს ამის შესახებ განუცხადა „სტიაუას" წარმომადგენელმა.

სტოიკა 32 წლისაა, პეტურკა 33-ს, ორივემ თავიანთი საუკეთესო წლები რუმინეთის ფეხბურთს შესწირეს. დღემდე ორივენი რუმინეთის ნაკრების წევრები იყვნენ. 1986 წელს მათ დიდი წვლილი შეიტანეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, რომელიც „სტიაუამ" მოიგო. „ნენსი" ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია, ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელებმა ითხოვეს ამ ორი ფეხბურთელის დათმობა, „სტიაუა" ამ წინადადებას დათანხმდა.

**ბერნი.** ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა უარი თქვა იტალიის „ნაპოლის" აპელაციაზე. ეს კლუბი თხოულობდა მოეხსნათ 30.865 დოლარი, რომლითაც იგი დააჯარიმეს იმის გამო, რომ უეფა-ს თასის მატჩში „ნაპოლისა" და „იუვენტუსს" შორის ქალაქ ნეაპოლის სტადიონზე დიდი უწესრიგობა სუფევდა. უეფა-ს წარმომადგენელმა ისიც განაცხადა, რომ ამ აპელაციის შედეგად „ნაპოლიმ" დამატებით უნდა გადაუხადოს ევროპის მთავარ საფეხბურთო ორგანიზაციას კიდევ 3 ათასი დოლარი პროტესტის განხილვის საფასურად.

● **ავსტრიის** 1988 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ჰერბერტ პროხასკა 1989 წლის ზაფხულიდან თავის მშობლიური კლუბის ვენის „აუსტრიის" ტექნიკურ დირექტორად იმუშავებს.



● **ლუქსემბურგის** ქალაქებში მდებარე სტადიონის მინდორი უვარგის მდგომარეობაშია. დედაქალაქის უდიდესი ბაზა რეკონსტრუქციას საჭიროებს. ამის გამო ქვეყნის ნაკრები 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს საზღვარგარეთ გამართავს. ბელგიას ლილში შეხვდება. პორტუგალიას კი მეცში.

● **ურუგვაის** გაზეთ „ელ პაისის" ანკეტით სამხრეთ ამერიკის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს მონტევიდეოს „ნასიონალის" ყოფილი სელექციონერი რობერტო ფლეიტასი. მან 33 ხმა მოაგროვა და საგრძნობლად გაუსწრო II-III ადგილებზე. გასულ თავის თანამემამულე ილდო მანეაიროს („დინუბიო") და არგენტინის ნაკრების მწვრთნელ კარლოს ბილარდოს, რომლებმაც 4-4 ხმა მიიღეს. 3 ხმით IV-V ადგილები გაიყვეს არგენტინელმა სეზარ მენოტიმ („რივერ პლეიტი") და ფრანსისკო მატურანამ (კოლუმბიის ნაკრები).

# მსაჯთა საუკეთესო ათეული

**საქართველოს** ჩოგბურთის ფედერაციამ მსაჯთა კოლეგიის წარდგინებით დაამტკიცა რესპუბლიკის საუკეთესო მსაჯთა ათეული. ათეულში შევიდნენ: გივი ახალაძე, ვლადიმერ ასათიანი, გიორგი ღარიბაშვილი, ივანე გოგილაშვილი, დიმიტრი კერესელიძე, მარლენ ქობალია, არტემ მალაიანცი, გაიოზ საბაშვილი, თამარა ჩიმერინა, ნიკოლოზ ელერდაშვილი.

### „სპორტლოტო"

**9 აპრილს** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-15 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 18 (მძლეოსნობა), 30 (ძალოსნობა), 33 (ფეხბურთი), 38 (ალპინიზმი), 39 (ბადმინტონი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 22 (წყალში ხტომა), 24 (ხელბურთი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 34 (ბალახის ჰოკეი).

### „სპორტპროგნოზი"

**მე-15 ტირაჟის შედეგები**
**(8-9 აპრილი)**

1-1, 2-X, 3-1, 4-1, 5-1, 6-X, 7-1, 8-X, 9-1, 10-1, 11-2, 12-X, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

მე-8 წყვილის შედეგი განისაზღვრა წილისყრით, თამაშის სხვა დროისთვის გადატანასთან დაკავშირებით.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00245